IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საინფორმაციო ბიულეტენი

ოქტომბერი, 2016

საპარლამენტო არჩევნების შედეგები - გამოწვევები საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე

კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვება ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ მმართველ ძალას გააჩნია შესაძლებლობა ნებისმიერ საკითხზე ერთპიროვნულად და რეალური კონსესუსის გარეშე ქვეყნის მთავარ კანონში შეიტანოს ცვლილებები, არამედ იმასაც, რომ პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთის ქვეშ ნებისმიერ ფასად შეასრულოს ყველა წინასაარჩევნო დაპირება. ძალაუფლების ასეთი კონცენტრაცია მმართველი ხელისუფლების ხელში, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს ისეთ მყიფე დემოკრატიულ სისტემას, როგორიც ჩამოყალიბებულია საქართველოში.

საქართველო კანონის უზენაესობის გლობალურ ინდექსში

2016 წლის კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის თანახმად 2016 წელს საქართველო0,65 ქულით არის შეფასებული. მოცემული შედეგით ქვეყანა 34-ე ადგილზეა 113 სახელმწიფოს შორის,. 0.65 ქულა მიიღო საქართველომ კანონის უზენაესობის ინდექსში 2015 წელსაც, 2014 წელს - 0,53, ხოლო 2012 – 0,48 ქულა. კანონის უზენაესობის გლობალურ ინდექსში ლიდერობენ სკანდინავიის ქვეყნები: დანია, ნორვეგია და ფინეთი 0,89, 0,88 და 0,87 ქულებით.

ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის რეიტინგის ახალი ლიდერი - მექსიკა

მექსიკის გამჭვირვალობისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონის განახლებული ვერსია აფართოებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის პასუხისმგებელი პირების სიას და ზრდის ვებ-გვერდებსა და სპეციალურად შექმნილ საკონსულტაციო პლატფორმაზე განსათავსებელი ინფორმაციის ოდენობას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კანონის თანახმად, სწორედ ელექტრონული პლატფორმები წარმოადგენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მთავარ საშუალებას, რაც აადვილებს ინფორმაციის შენახვის, გაცემის და დახარისხების პროცესს და სრულ შესაბამისობაში მოდის ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პრინციპებთან.

„კოალიცია ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის“ ხელისუფლებას რუსეთის მიმართ მკაფიო პოლიტიკის განსაზღვრისკენ მოუწოდებს

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშაოს დეოკუპაციის მკაფიო და მიზანმიმართული სტრატეგია. პრაღის მოლაპარაკებების ფორმატის შენარჩუნების შემთხვევაში, მოახდინოს მისი დახვეწა, რაც გულისხმობს მოლაპარაკებების მანდატის მკაფიოდ ჩამოყალიბებას და ქართული მხრიდან მისი ხელმძღვანელის, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სტატუსის განსაზღვრას. ასევე მოვუწოდებთ, რომ გამოიყენოს ყველა საშუალება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასა და მიმდინარე პროცესებზე საერთაშორისო საზოგადოებრიობის სრული ინფორმირებისათვის.